# სახალხო გაზეთი

№ 153 სამშაბათი, 9 ნოემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 153

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., საათის შემდეგ მეტი ეღირება

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრეს: Тифлисъ, Большая Ванкская ул., N 12, Семену Пашалашвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

**სახალხო გაზეთი**

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

**სურათებიანი დამატება**

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: **Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.**

6 ნოემბერს, ქუთაისში გარდაიცვალა

**თავ. ნიკოლოოზ მანუჩარის ძე ჩიჩუა.**

ცხედარს ქუთაისიდან სოფ. ქვალონში წაასვენებენ. დასაფლავება 11 ნოემბერს. (1—ფ.—1)

ძვირფას დედის დამკარგველნი შვილნი: **კალენიკე იოსების ძე მესხი, რაფიელ ვახტანგის ძე, ოლღა და ანასტასია ვახტანგის ასულნი შარაშიძეები** ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ თავიანთ დედის

**ეპეპეს**

გარდაცვალებას, სოფელს ციხეს, ოზურგ. მაზრ. პანაშვიდები ყოველ დღე გადახდილ იქნება ნათლისმცემლის ეკლესიაში. დასაფლავების დღე ცალკე გამოცხადდება. (1—205—1)

**რ. ა. პორტუგალოვისა**

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან,

ოდესიდან და პეტერბურგიდან

**დიდ ძალი**

**ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები,**

იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

**კაცების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკომისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.**

გინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ზიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—33)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.**

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება, დღეს და ღამეს.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ჩარშ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

**ედიგენაშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., და პარ, $10^1/_2$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და საბ. 10—12 ს.

**ქაჯაიძე ტ. ს.** შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მუსხელიშვილი გ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ ნახ. ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**ფირალოვი რ. ზ.** ქირურ. ყოველ-დღე 12—1 ს.

**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.

**ხოდორევსკი გ. გ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეთანხმებით. საფასურით. (200—ნ.—320)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. გაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ნ. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

**ა. ნ. ლიხამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს, სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ა. მ[illegible]**—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

**ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.**—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—483)

მოითხოვეთ ახალი პაპიროსი

**„ანფისა"**

ფასი 15 ცალი 6 კაპ.

„ 25 „ 10 კაპ.

**„მირის" ფაბრიკისა.**

მიუხედავად იაფი და ყველასათვის მისაწვდომ ფასებისა, პაპიროსი **„ანფისა"** შემზადებულია მაღალ ხარისხოვან და გემოვნების თამბაქოსაგან.

**მიაქციეთ ყურადღება საუკეთესო ხარისხს და გემოვნებას.** (15—150—9)

**ტელეფონი № 862. ქართული თეატრი წარმოდგენა № 21.**

ხუთშაბათს, 11 ნოემბერს, 1910 წელს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**„სატანა"**

დრამა 5 მოქმედებად და 6 სურათად, ი. გორდინისა, თარგ. ვ. შალიკაშვილისა

მონაწილეობენ: ქ-ნნი: დავითაშვილი ნ., ვიქტორელი მ., ლეჟავა ო., ლოლუა ა., პიერრეტა ა., ქილარჯიშვილი მ., შოთამე ა., ჯავახიშვილი ნ. ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი ვლად, არადელი ვ., გვარამე ნ., ზარდალიშვილი ი., მდივანი ბ., მგალობლიშვილი დ., მამფორია ი., შალიკაშვილი ვ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ადმინისტრაცია** ქართ. დრ. საზოგადოება. რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.**

ადგილების ფასი: გალერეა 20—40 კ.-მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში მეგირდებისთვის 50 კ.

**დამსწრეთა საყურადღებოდ:** თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებენ, ამიტომ მესამე ზარის შემდეგ ყველანი თავ-თავის ადგილზე უნდა ისხდნენ.

**მზადდება წარმოსადგენად:** „ედმონდ კინი", „ეშმაკის დაღუპვა", „ყაჩაღები", „მისს გობს" და სხვა.

**სამკურნალო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

**ი. მ. ახპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

**მონხე**—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 სათ.

**ნოვიცვი**—ბებია ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

**უკლადნიკოვი**—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

**რიდელი**—შინაგ. ბავშვ. ყოველ-დღე 3—4 საათამ.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ,

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ. სულ. ელექტრო-ტერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4—5 საათ.

**სარაბ**—ბავშვ. შინ. ყოვ.-დღე 12—1 ს.

**ვესელოვზოროვი ნ. ნ.** ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. 2—3 საათ,

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ლიმონი**—კბილის ავად. ყოველ-დღე 9—11 საათამ.

**მიკერტუმოვი** დილის $10^1/_2$—$11^1/_2$ ს. ყოველ-დღე.

**ფონდოვევი**—ნერვ. ელექტრო-ტერაპ., ყოველ-დღე 11—12 საათ.

**სატისოვი ნ. დ.**—ბებ., ქალ., ყოველ-დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის წესით. (100—ნ.—17)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში

იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვების და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ-დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—6)

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. 20 (0—ნ.—78)

**ექიმი ე. ი. მინასიანცი.**

სწამლობს შინაგან, ბავშვთა და კუჭის ავადმყოფობას; პროფესორ Mathieu-სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქუჩა N 39. (100—16)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე**

იზმაილოვის ქუჩაზე N 2. **გადავიდა** იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—4 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი ვ. ნ. მაგაკიანი**

**შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა.** მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 288. (100—ზალ.—74)

**ექიმი ქ. ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი**

დაბრუნდა საზღვარ გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო აგებულობათა, სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ.** 9—12 ს. 6—8 საღ., თბილისის ქ. ფირალოვის სახლი. (50—170—10).

**მასწავლებელი**

ამზადებს შეგირდებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისათვის. ნახვა შეიძლება დილის 8—11 საათამდე და საღამოს 3—5 ს-მდე. მიხაილოვის ქ. № 144. (25—162—16)

**ექიმი ვ. ბაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. (0—256)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვე სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს $5^1/_2$—$6^1/_2$ საათამდის. კაზენის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი რ. დ. მაჭავარიანი**

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ბაკინოვის ქუჩა N 7. (თ.—180—28)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)


## ტფილისი, 9 ნოემბერი

**კიდევ ჩვენის თეატრის გამო.** ჩვენმა წერილმა თეატრის შესახებ ახალი „ზაკავკაზიე" აალაპარაკა. ამ გაზეთის თანამშრომელმა ბ-ნმა მ. დ. ვრცელი წერილი უძღვნა ჩვენს თეატრს, მაგრამ საკითხს ცოტა სხვა მხარიდან შეეხო; ჩვენს თეატრს ის უსაყვედურა, რაშიაც სწორედ წელს საყვედური არ ეთქმის: ქართულს დასს უსაყვედურა რეპერტუარის სიგლახე. ქართულ თეატრის დაქვეითებას შესახებ ბევრი წერილი დაიწერა ამ სამი-ოთხი წლის განმავლობაში, ბევრი სხვა და სხვა აზრი გამოითქვა; მაგრამ ამ ხნის განმავლობაში საზოგადოება უნდა დარწმუნებულიყო, რომ ჩვენის თეატრის განახლების ხანა უკვე დადგა. ამას გვეუბნება ჩვენ შარშანდელი და წლევანდელი სეზონი ქართულ დრამისა ქუთაისში და წლევანდელი სეზონი—ტფილისში. ვისაც თვალნი აქვთ და მათი გაჭელა ჰსურთ —გაახილონ და დაინახვენ ჩვენის თეატრის გამოღვიძებას. ჩვენ ეხლა ქუთაისის სეზონს არ გამოვუდგებით, თუმცა პირველად იქ გამოჩნდა ჩვენის თეატრის განახლების ნიშნები. ეს იყო შარშან. ჩვენ მხოლოდ ტფილისის დრამის წლევანდელ სეზონს შევეხებით, რომელიც ქართულ თეატრის განახლების ნიშნებს საკმაოდ იძლევა. ასეთი ლამაზი და შესაფერი დეკორაციები, ასე გონივრულად დადგმული პიესები, ასეთი მწყობრი თამაში მსახიობთა, ასეთი ანსამბლი, აგერ ათი წელია ქართულ საზოგადოებას არ უნახავს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ესთეტიურ მოთხოვნილებას ჩვენის საზოგადოებისას ეხლანდელი ჩვენი თეატრი საკმაოდ აკმაყოფილებს. მასთან—ვინ და სად ასწონა ჩვენი საზოგადოების ესთეტიური მოთხოვნილებანი? თუ წინად ჩვენს დასს სხვა ადგილობრივ დასებს ადარებდნენ, თუ ჩვენის დასის მიერ დადგმულ პიესებს, ანსამბლს დეკორაციებს, სხვა დასების წარმოდგენებს ადარებდენ და ეს შედარება ჩვენის თეატრისათვის არ იყო სასარგებლო,—ეხლა რას ვხედავთ? განა სიტყვები ჩვენის საზოგადოებისა ადგილობრივ დასების უმჯობესობის შესახებ უბრალო სიტყვები არ არის? ვის შეუძლია სთქვას, რომ ადგილობრივი ოპერა ან და რუსული დრამა სათეატრო ხელოვნების შედევრები იყოს. ოპერაში, ორკესტრსა და დეკორაციებს არა უშავთ-რა, მაგრამ მსახიობნი, მომღერალნი კი, ძლიერ და ძლიერ ნაკლებნი გახლავან. მთელ დასში ორ მსახიობს ვერ ნახავთ ისეთს, რომელსაც მართლაც მომღერალი შეიძლებოდეს დაერქვას რუსული დრამა შედარებით უკეთესია ოპერაზე, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, გაცილებით ვერც ისე სჯობია ჩვენსას, ვერც რეპერტუარი აქვს ჩვენსაზედ უკეთესი და ვერც ასრულებაა უფრო მწყობრი. ჩვენ ნიკულინის დასზე ვლაპარაკობთ. მიბრძანდით და დარწმუნდებით ადგილობრივ რუსულ დასების ქება და ჩვენი დასის გინება—ეს მხოლოდ ზეპირად ლაპარაკია, სიტყვის ბანზედ აგდება, ერთგვარი ფანდი თავის ინტერესების გასამართლებლად ნახმარი. განა ჩვენი საზოგადოება, ანდა, უკეთ რომა ვსთქვათ, მისი მაღალი წრეები ოპერაში და რუსულ დრამაზე დაიარებიან? სრულიადაც არა! იქაც ვერ ნახავთ ქართველ არისტოკრატს, იქაც ძვირად შეხვდებით ქართველ ინტელიგენტს.

ვიტყვით კიდევ მეტს, ქართველი ინტელიგენტი შედარებით უფრო ხშირად ქართულ თეატრში დაიარება. უკეთ რომა ვსთქვათ, ჩვენი საზოგადოება არსად არ დაბრძანდება, მას არაფერი არ აინტერესებს, მას მხოლოდ ციკი და ქიდაობა მოსწონს და, დრამასა და ოპერაზე თუ წავიდა, წავა მხოლოდ მაშინ, როდესაც იქ წარმოდგენა—gala—არის ე. ი. მაშინ, როდესაც თეატრში ბევრი მისი დაგვარი ხალხი იკრიბება, წავა თავის საჩვენებლად და სხვის სანახავად და არა ესთეტიურ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

აი, თუ გნებავთ, მწარე სინამდვილე. და აი სწორედ აქედან უნდა იწყებოდეს ჩვენი მსჯელობა ქართულ თეატრის შესახებ, მის მატერიალურ გასაჭირის მიზეზებზე. სწორედ ზემოდ მოყვანილი აზრებიც ნათლად გვეუბნება, თუ საიდან იქნება ხსნა. ჩვენის ერის ფართო დემოკრატიული წრეები მისცემენ საზრდოს ჩვენს თეატრს, ჩვენის ხალხის ფართო წრეებისათვის უნდა სუფევდეს ჩვენი თეატრი. სწორედ სამართლიანად მოიქცა ეხლანდელი გამგეობა დრამატიულ საზოგადოებისა, რომ ძლიერ დაუკლო ფასები ადგილებზე ქართულ თეატრში.

***

ეხლა კი გადავიდეთ ქ-ნ მ. დ. წერილზე, რომელიც წლევანდელ რეპერტუარს იწუნებს და დრამატიულ საზოგადოების გამგეობას ურჩევს: რეპერტუარი შესცვალე, ვინაიდან წლევანდელი რეპერტუარი არ ვარგაო. ჩვენ სწორედ ვერ მივსცემთ ამ რჩევას გამგეობას; პირიქით ვურჩევთ თავის მოქმედების სწორედ ასე განგრძობას, როგორც დაიწყო და როგორც გვპირდება. აი თუნდაც ჩვენის გაზეთის ნომერში გაცგეობას არ დავიწყებია არც ერთი ხეირიანი ქართული ორიგინალური პიესა, არც ერთი თანამედროვე ქართველი დრამატურგი—ყველას პიესებს აპირებს წარმოდგენას. ამავე დროს კი გვაცნობს აგრეთვე სხვა ქვეყნების სათეატრო მწერლობას, სხვა ერთა რეპერტუარს. გადახედეთ უკვე ნათამაშევ პიესების სიას, გადაათვალიერეთ განზრახული რეპერტუარი და ნათლად დაინახავთ ჩვენს სიმართლეს—ქართულ თეატრის რეპერტუარის სიკარგესა და უმჯობესობას. გ. ზ. შიუკაშვილი, ვ. ყიფიანი, ტ. რამიშვილი, ჩვენი თანამედროვე დრამატურგები, ჰპოვებენ ბინას ჩვენს სცენაზე. ამავე დროს ჩვენ ვეცნობით ჰაუპტმანს, ზუდერმანს, გორდინს, შვაიერს, ჰეიერმანს, ჯერომ-ჯერომს. და ეს ხდება მხოლოდ პირველი ორი თვის განმავლობაში. „ზაკავკაზიე" კი ამბობს—ჰაუპტმანს, ზუდერმანს, შვაიერს თავი გაანებოს ჩვენმა დასმა და წარმოადგინოს „კუდურ-ხანუმიო". ამ უკანასკნელს თავის დროზედ მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ეხლა ვერავის ვეღარ დააინტერესებს. მახლას, კარგი გემოვნება გამოიჩინა ახალ „ზაკავკაზიეს" ახალმა თანამშრომელმა!

## სახელმწიფო საბჭო

**გოლუბევი თავმჯდომარეობს.**

ავტორთა უფლების კანონ-პროექტის მე-36 მუხლს იხილავენ. ამ მუხლში მოხსენებულია, რომ მთარგმნელს ავტორისებური უფლება უნდა ჰქონდეს თავის მთარგმანზე.

საბჭო ამ მუხლს კომისიის რედაქციით იღებს.

მიღებულია აგრეთვე დანარჩენი მუხლები 60 მუხლითურთ.

**61 მუხლი** ეხება ავტორის უფლებას ფოტოგრაფიულ ნაწარმოებზე.

ეს მუხლიც კომისიის რედაქციითაა მიღებული.

ყველა დანარჩენი მუხლებიც ზოგიერთ შესწორებით მიიღო საბჭომ.

შემდეგი კრება 10 ნოემბერს მოხდება.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 ნოემბერი.

**ტოლსტოის ავადმყოფობა და გარდაცვალება.**

**ასტაპოვი.** 5 ნოემბერს საღამოთი სიცხე 36,8 ჰქონდა. საერთოდ კარგ გუნებაზეა. ღამე მშვიდად გაატარა.

დილით სიცხე 37,2 ჰქონდა, სუნთქვა კარგი, ხოლო კვლავ სისუსტე აქვს. ექვს ექიმის კონსულიუმი მოხდება.

ნაშუადღევის 2 საათზე ავადმყოფმა მოიხუდა ცოტა ბურღული და კვერცხი შესჭამა.

დღის 1 ს. 41 წუთის ბიულეტენი: ავადმყოფი ღამე შფოთავდა, სიცხე 35,2 გრადუსი ჰქონდა; ფილტვები იმავე მდგომარეობაშია, გულის ცემა საგონებელში გვაგდებს.—მაკოვეცკი, ნიკიტინი, სემენოვსკი, ბერკენგეიმი, უსოვი, შუროვსკი.

საღამოს 5 საათზე და 48 წ. დღისით ძლიერი გულის ჩქროლვა მოუვიდა, რომელმაც მშვიდობიანად გაუარა. ავადმყოფი გრძნობს თავის საშიშარ მდგომარეობას.

რიაზანის ეპისკოპოსმა ისიდორემ და კნეინა კურაკინისამ ტოლსტოის მიმართეს, ეკლესიას შეურიგდიო.

6 ს. 40 წ. ექვსის საათის ბიულეტენი: სიცხე 37,9. ნაშუადღევის 2 საათზე გულის ცემამ ერთბაშად უკლო, ასეთ მდგომარეობაში 20 წუთს იყო. საღამოს ხანზე გულის ცემა გაუუმჯობესდა. გონება სალი აქვს. ექიმები: შუროვსკი, უსოვი, ბერკენგეიმი, სემენოვსკი, ნიკიტინი, მაკოვეცკი.

9 ს. 30 წ. ავადმყოფი იმავე მდგომარეობაშია. საღამოს 8 საათიდან ექიმები ავადმყოფს არ მოშორებიან. დიდი ჩოჩქოლია.

**ტულა.** მიხეილ ლევის ძე ტოლსტოი ასტაპოვიდან დეპეშით იუწყება: შუროვსკისა და უსოვს ავადმყოფის მდგომარეობა უიმედოდ მიაჩნიათ.

საღამოს 3 ს. 6 წ. ექიმები ორი საათის განმავლობაში ავადმყოფს არ მოჰშორებიან, იუწყებიან, რომ სწორედა და მშვიდად სუნთქავს, მაჯა უკეთ უცემს, სახე გაუბრწყინდა. თუ ორ-სამ დღეს ასე გაატარა— ექიმმა ნიკიტინმა სთქვა— შეიძლება მორჩენის იმედი ვიქონიოთო. დღისით გულის ჩქროლვამ რომ გაუარა, ტოლსტოიმ სთქვა: **„ქვეყანაზე მილიონობითაა ხალხი, ბევრი იტანჯება; თქვენ მარტო ჩემს გარშემო რადა ტრიალებთ?“**. ავადმყოფს მაშინვე ჩაეძინა.

შუაღამის 1 სათ. 40 წ. გულის ჩქროლვა კვლავ მოუვიდა. საშიშ მდგომარეობაშია.

1 საათ. 48 წ. გულის ჩქროლვის შემდეგ, ტოლსტოის მიეძინა.

1 საათ. 55 წ. ისეთივე გულის ჩქროლვა მოუვიდა, როგორც დღისით. ავადმყოფის საწოლს მისი ოჯახობა შემოეხვია.

3 საათ. და 26 წ. ტოლსტოის ბანგი დაალევინეს. მდგომარეობა უცვლელადაა.

5 ს. 5 წ. ავადმყოფს უარესობა ეტყობა, გულის ცემამ უკლო, ძლიერ საშიშ მდგომარეობაშია.

5 ს. 50 წ. გრაფის მეუღლე ავადმყოფთან მიუშვეს, მაგრამ ვეღარ იცნო. მეორე ოთახში გრაფის მთელი სახლობაა.

**ტოლსტოი 6 ს. და 5 წამზე გარდაიცვალა.**

მილიონ ხალხზე ნათქვამი სიტყვები ტოლსტოის უკანასკნელი გარკვეული სიტყვები იყო, მერე გაუგებარ ბოდვას მოჰყვა. გარეცხვის შემდეგ, განსვენებულს მისი ჩვეულებრივი ტანისამოსი და ფლოსტები ჩააცვეს. უკანასკნელ წუთამდე თვალი სინათლეს არჩევდა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ გონება ნათელი შერჩა.

**ასტაპოვო.** სკოლის ეკლესიაში გადახდილ წირვას განსვენებულის ქვრივი დაესწრო. ხვალ ჩამოვა მოქანდაკე გინზბურგი და განსვენებულის სახის მასკას აიღებს. ჩამოვიდა და უკანვე დაბრუნდა კალუგის ეპისკოპოსი პართენი. ამბობენ, ტოლსტოიმ მოისურვა „იასნაია პოლიანაში“ იმ ბორცვზე დამასაფლავეთ, სადაც ბავშვობაში ვთამაშობდი ხოლმეო. განსვენებულის გვამს ხვალ ნაშუადღევის 3 საათზე მატარებლით „იასნაია პოლიანაში“ წაასვენებენ. დღეს აუარებელი ხალხი ჩამოვიდა. სადგურზე გუბერნატორი და გზათა უფროსი არიან. სრული წესიერებაა.

ტოლსტოის გვამს ზეწარი ავარია. სახე არ შესცვლია. განსვენებულმა მოასწრო იმის თქმა, რომ წესს ნუ ამიგებთ, უბრალოდ, უგვირგვინოდ და უყვავილოდ დამასაფლავეთო. განსვენებულის გვამს გორბაჩევოზე გაატარებენ.

9 ს. 40 წ. განსვენებულ ტოლსტოის გვამთან ხალხს უშვებენ. თავით ქვრივი უზის. განსვენებულის მეგობრებმა საკითხი აღძრეს, რომ ის პატარა სახლი, სადაც ტოლსტოი გარდაიცვალა, ეროვნულ საკუთრებად შეიძინონ. სამგლოვიარო მატარებელი ორის სამგზავრო ვაგონისა და ერთის საბარგო ვაგონისაგან შესდგება, სადაც განსვენებულის კუბოს მოათავსებენ. განზრახულ პანაშვიდის გადახდა ვერ მოხერხდა.

სამშაბათს, დილის 6 საათზე, განსვენებულის გვამს სადგურ ზასეკაზე მიასვენებენ და იმავე დღეს „იასნაია პოლიანაში“ დაასაფლავებენ.

ფოტოგრაფისტებს ლოგინში მწოლარე განსვენებულის სურათის გადაღების ნება მისცეს. მიცვალებულის ოთახში შეკრებილმა საზოგადოებამ განსასვენებელი უგალობა.

განსვენებულის ქვრივს აუარებელი სამძიმრის დეპეშები მოსდის. სხვა და სხვა პირთა და საზოგადოებათ გვირგვინებით შეამკეს.

განსვენებულის გვამში გახრწნის შემშლელი ნივთიერებანი ჩაასხეს.

**საზღვარ-გარედ**

**სტამბოლი.** სალონიკში მომხდარ ერთობისა და პროგრესის პარტიათა გაერთიანებულ კრების დადგენილებანი გამოაქვეყნეს. ეს დადგენილება ქვეყნის შინაურ და საგარეო პოლიტიკაში ჩარევას ერიდება, პოლიტიკურ პროგრამის განხორციელებას პარტიათა საპარლამენტო ფრაქციათა კომიტეტებს ანდობს, ცენტრალურ და ადგილობრივ კომიტეტთა მიზნად ხალხის განათლებისა და კონსტიტუციურ აზრების გავრცელებას ისახავს.

**პარიზი.** პალატამ იუსტიციის სამინისტროს ხარჯთ აღრიცხვა მიიღო. სიკვდილით დასჯის კანონი 393 ხმით, 156 წინააღმდეგ, მიღებულია. მომხსენებელის აზრით, სიკვდილის დასჯის კანონი ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას არ უნდა დაუკავშირონ.

**თავრიზი.** ქურთებმა ჯუჩაში დახოცეს: ურმიის ჟანდარმერიის უფროსი აიდინ-ფაშა, ოთხი ჟანდარმი, 16 მხედარი, რამდენიმე გლეხი და ტელეგრაფის მოხელე, რომელიც ტელეგრაფის დაწყვეტილ მავთულებს აბამდა. ქურთებსაც დიდი ზარალი მოუვიდათ.

**თავრიზი.** სამაისის ქურთებმა სოფ. კუშჩასა, იმამქენდსა და ჯეშოლს ალყა შემოარტყეს. სამის კუთხიდაა ბრძოლა. გუბერნატორისაგან გაგზავნილი მაშველი ჯარი მეტად მცირეა. სოფლელები თავგანწირვით იბრძვიან. რუსის რამდენიმე ქარვანი ჯეჩალში გამოემწყვდა.

**ლონდონი.** ნაციონალ-ლიბერალთა კლუბში ასკვიტმა სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა, რომ ისეთი პირობანი შეიქმნა დღეს, რაც ბრიტანიის კონსტიტუციის ისტორიაში თავის დღეში არა ყოფილა. 1910 წ. არჩეული ქვედა პალატა დღითი-დღე ავიწროებდა და მნიშვნელობას უკარგავდა ზედა პალატას. 1910 წ. 100 ხმის უმეტესობით ზედა პალატის უფლებათა შეზღუდვა დაადგინეს. „ვეტოს“ უფლების კონფერენციამ ვერაფერი გაარიგა. ასკვიტის აზრით ქალაქების ოლქებში არჩევნები 7 დეკემბრამდე დასრულდება, ხოლო სოფლებში კი—17 დეკემბრამდე, ეს უმჯობესია, ვიდრე ნაშობავემდე გადაიდოს. ლორდთა პალატის უფლებანი მეორე ხარისხოვანის ფუნქციებით უნდა შემოიფარგლოს.

**დარმშტადტი.** პრუსიის პრინცმა ჰენრიხმა, ოფიციალურ კომისიაში ეგზამენი ჩააბარა და მფრინავის (პილოტი) მოწმობა მიიღო.

**პარიზი.** საფრანგეთის ბევრს ადგილში დიდი ნიაღვარი და თოვლის ნამქერებია. მიმოსვლა შესწყდა. მდინარეები ადიდდა. სენამ 10 სანტიმეტრზე აიწია.

**მექსიკა.** პუებლიდან იუწყებიან, რომ მიტინგის დასრულებისას, ერთმა ქალმა პოლიციის უფროსი რევოლვერით მოჰკლა. ხალხი პოლიციას ხელდახელ დაერია. ყუმბარით რამდენიმე პოლიციელი მოჰკლეს. მექსიკიდან მისულმა ჯარმა სანგრებში ჩასაფრებულ მეამბოხეთ სროლა აუტეხა და წესიერება აღადგინა.

ოფიციალურის ცნობით, 18 მოკლულია, კერძო ცნობებით კი— 100 კაცი,

**პარიზი.** ფალიერის თანადასწრებით, ტულერის ბაღში ჟულ ფერრის ძეგლი აკურთხეს. ბრიანმა სიტყვა სთქვა და აღნიშნა, რომ დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა ისეთივეა, რაც ფერრიის დროს იყო. იმის და მიუხედავად, რომ ოპოზიციას მარცხნივ და მარჯვნივ მედგარი იერიში მიჰქონდა, ფერრიმ საფრანგეთის პრესტიჟი მაინც აღადგინაო.

**ვენა.** დელეგაციის კრება დაიხურა. ავსტრიისა და უნგრეთის მინისტრთა საბჭომ, ერენტალის თავმჯდომარეობით, 1911 წლის საერთო ხარჯთ-აღრიცხვა შეადგინა. შობის მერე დელეგაციის ახალი კრება მოხდება, რომელიც დროებით სესხის საკითს გადასწყვეტს.

**კოლონია.** გერმანიის კრონპრინცი ჩამოვიდა.

**ლისაბონი.** მინისტრთა საბჭომ ახალ ბაირაღის პროექტი მოიწონა, ბაირაღი მწვანე და წითლის ფერისა იქნება.

**მექსიკა.** აქ, პუებლოსა და სხვა ქალაქებშიაც სიწყნარეა. არეულობის დროს 170 კაცი მოჰკლეს მათ შორის პოლიციის უფროსის მკვლელი ქალიც. 42 კაცია დაპატიმრებული.

**ვაშინგტონი.** სავარჯიშო მოედანზე ხუთ-დიუმიან ზარბაზნის ნაადრევად გასროლამ ერთი აფიცერი და სამი მეზღვაური იმსხვერპლა.

**რუსეთი**

**ყარსი.** სამხედრო ტაძარში გადახდილ პანაშვიდის შემდეგ გენერალმა ბოტკომ ლექცია წაიკითხა ყარსის [illegible] იერიშის თაობაზე. ლექციას დაესწრო კავკასიის ნამესტნიკი მეუღლითურთ და საქართველოს ეგზარხოსი.

ლექტორმა ნამესტნიკს მადლობა გადაუხადა, ყარსზე პირველ იერიშის მონაწილეთ (1809 წ.) გენერალ ნესვეტაევის გვამის ყარსში გადასვენების ნებართვისათვის.

**პერმი.** ზილიმბაევის ქარხანა დაიხურა. მუშები და მსახურნი დაითხოვეს.

**ყარსი.** ყარსის აღების დროს დახოცილ მეომართა ძეგლის კურთხევამდე, ყველა ეკლესიებში წირვა გადაიხადეს. ტაძარში ეგზარხოსი იყო მწირველი. წირვის შემდეგ, ლიტანიით გამართნენ ძეგლისაკენ, ძეგლის კურთხევას ჯარი და დიდძალი ხალხი დაესწრო.

**პეტერბურგი.** კომისიამ უმაღლეს სკოლის შესახებ წარდგენილი შეკითხვა მიიღო. გზათა ინსტიტუტი დირექტორის—ბრანდტის—უკანონო მოქმედების მომხსენებლად შურიშკევიჩი აირჩიეს.

სათათბიროს დეპუტატთა ჯგუფის საკანონმდებლო განცხადება, რომ ქალებსაც ნაფიც ვექილობის უფლება მიენიჭოთ, სამოქალაქო უფლებათა დამხმარე კომისიამ სასურველად ვერ იცნო.

**ბაქო.** მფრინავი გაბერ-ვლინსკი, ფარმანის საფრენით, 300 ადლზე ავიდა და 30 წუთს ჰაერში დაჰყო.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი (სარატოვის გუბერნიიდან) მღ. ზლატობრეცკი გარდაიცვალა.

**ყარსი.** სამხედრო საკრებულოში, ნამესტნიკის თანადასწრებით, წაკითხულ იქმნა მეფისა და დიდ მთავარ ნიკოლოზ მიხეილის ძის მისალოც დეპეშას „ურას“ ძახილით და ჰიმნის გალობით შეეგებნენ.

**შულავერი.** ნამესტნიკისა და საქართველოს ეგზარხოსის თანადასწრებით, წმ. გიორგის ეკლესია აკურთხეს.

**ეკატერინოსლავი.** სელეზნევსკის მადაროების მახლობლად (ბახმუტის მაზრაში) მაშურიანცის სახლს დაეცნენ. კასირსა და დამტარებელს ძლიერ სცემეს და 1000 მანეთი გაატაცეს.

# ახალი ამბები

**ტფილისი**

✦ **ტფ. თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში.** კვირას, 7 ნოემბერს, დეპუტატთა საკრებულოში ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლებისა და დეპუტატების შეერთებული კრება მოხდა, რომელმაც გაანაწილა საქველმოქმედო საქმეთათვის გადადებული ფული. კრებამ დაადგინა, შემდეგს გადადებულ 6.000 მანეთიდან. 1) ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებას 3,500 მანეთი იმ პირობით, რომ 1.000 მანეთი მოახმაროს ძველის ეკლესიების განახლებასა და ფრესკების გადაღებას, ხოლო 2.500 მანეთი თავისი შრომანი გამოსცეს; 2) ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებას—500 მანეთი, 3) „განათლების“ საზოგადოებას—400 მან., 4) მცხეთის სამეურნეო სკოლას—400 მან., 5) ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოებას—200 მან., 6) ჰრა-კერვის დედათა სკოლას—300 მან., 7) კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ქართულ სამეურნეო ჟურნალის „მოსავალის“ გამოსაცემად—300 მან., 8) სურამის პროგიმნაზიას—250 მან. და 9) ბოდბის მონასტრის სკოლას—150 მან. სხვა და სხვა კერძო პირს შემწეობაზე უარი ეთქვა.

✦ **გიორგი დეკანოზიშვილის გარდაცვალება.** ტფილისში მიღებულ ცნობებით საფრანგეთის ქ. კანნაში 6 ნოემბერს გარდაცვლილა ცნობილი ემიგრანტი გიორგი დეკანოზიშვილი.

✦ **ტოლსტოის გარდაცვალების ამბავი ტფილისში.** კვირას, 7 ნოემბერს, ტფილისში ელვის სისწრაფით გავრცელდა დიდებულ მწერლის ლევ ტოლსტოის გარდაცვალების ამბავი. ხალხი დიდის ინტერესით ეკითხებოდა ერთმანეთს ამ ამბის დაწვრილებით ცნობებს. საღამოს დეპეშები ცალკე ფურცლებად დაიბეჭდა და გასასყიდად მთელს ქალაქს მოედო. ხალხი იმდენად დაინტერესებული იყო სახელოვან მწერლის გარდაცვალების ამბით, რომ დეპეშები საჩქაროდ დაიყიდა. ტფილისიდან სხვა და სხვა საზოგადოებამა და კერძო პირმა თანაგრძნობის დეპეშები გაუგზავნეს განსვენებულის ოჯახობასა და რუსეთის ხალხს. გუშინ ტფილისში დეპეშა მოვიდა, კვირას, 7 ნოემბერს მოსკოვის რედაქციებში ჩვეულებრივი მუშაობა ყოფილა და ორშაბათს ყველა გაზეთი გამოსულა ტოლსტოის შესახებ ცნობებით.

✦ **„განათლების“ საზოგადოება.** 7 ნოემბერს, „განათლების“ საზოგადოების წევრთა კრება მოჰხდა

# სიმღერა

ვიწვები, გარსა ცეცხლი მარტყია,
ალს მცემს თვალ-პირში გაჩაღებული.
ორივ გულს მიკლავს, თვალთგან ცრემლს მდენს
მაწამებელი და წამებული.

—

როდი-ღა ვიცი, საით წავიდე,
გემს სად ვუპოვო ნავთ-საყუდარი.
სად დაისვენოს გრძნობამ და ფიქრმა,
არა ვნახო-რა განაფუჰარი?!..

—

აღარ მწადიან, თვალით რამ ვნახო,
აღარ მწადიან მწარე რამ ვიგრძნო,
აღარ მწადიან, ტანჯულ სიმართლის
ჩამობღარული სახე-ღა ვიცნო.

—

მივმართე მწედა ბუნების წიაღს:
მთებსა მაღლებსა, ტყეს დაბურვილსა,
ასე მეგონა დავისვენებდი,
იქ მივაღწევდი, ჩემსა სურვილსა,
მაგრამ მოვსტყუვდი, დიდად მოვსტყუვდი,
დღესაც ვერ ვხედავ წყლულს განკურნვილსა.

—

დამდევნებიყვნენ ცხოვრების ხმები,
—იქაც მიპოვნეს, ჩამისხდნენ გულში,
კვლავ აბოჟირდნენ, კვლავ ამატირეს
და მომიმატეს წყლულები წყლულში.

—

იმიტომ ვდგევარ დღეს ამ ფიქრზედა:
მოსასვენებლად ვარგა საფლავი,
ცხოვრების გარედ კაცმა ვერ ჰპოვოს
ვერსადა ძვალი გამოსახრავი.

—

უნდა იქ დადგეს მტკიცედ, მედგრადა,
სად ცხოვრებისა სჩანს კარგი, ავი;
ბრძოლა იმასთან გვაძლევს შვებასა,
ცხოვრებაშია რაც გულ-საკლავი.

—

არ გაიქცევა არსად სამარე,
იმას დაუდგეს ორივე თვალი.
არ შეიძლება, უნდა იხადოს
ცოცხალმა კაცმა სიცოცხლის ვალი!

**ვაჟა-ფშაველა.**

# ლევ ტოლსტოი

დეპეშამ სამწუხარო ამბავი მოგვიტანა. გარდაიცვალა სადგურ ასტაპოვოში რუსეთის დიდებული მწერალი, სახელოვანი ფილოსოფოსი გრაფი ლევ. ნიკოლოზის ძე ტოლსტოი, რომელსაც ერთნაირად პატივსა სცემდნენ და აფასებდნენ როგორც რუსეთსა ისე მთელს ქვეყანაში. მოგვყავს მოკლე ბიოგრაფიული ცნობანი ამ ბუმბერაზ მწერალ-მოაზრისა და ზნეობის უდიდეს მასწავლებლის ცხოვრებიდან.

ტოლსტოი დაიბადა 1828 წელს, 28 აგვისტოს, ტულის გუბერნიაში კრაპივენსკის მაზრის პატარა სოფელს „იასნაია პოლიანა“-ში სადაც საგვარეულო მამული ჰქონდა. მამა ტოლსტოისა პოდპოლკოვნიკი ნიკოლოზ ილიას ძე და დედა მარიამ ნიკოლოზის ასული, ვოლკონსკის ქალი მალე გარდაიცვალნენ და 10 წლისა არც კი იყო ტოლსტოი, რომ მისი აღზრდა იკისრა მახლობელმა ნათესავჰა ქალმა ერგოლსკისამ, შემდეგ კი მამის დებმა ჯერ გრაფინია ოსტენ-საკენისა და შემდეგ იუშკოვისამ, უკანასკნელთან ტოლსტოი წაყვანილ იქმნა 1840 წელს. 1843 წელს ტოლსტოი ყაზანის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტში შევიდა და ერთის წლის შემდეგ იურიდიულ ფაკულტეტზე გადავიდა, მაგრამ მეორე კურსიდან უნივერსიტეტს თავი მიანება და გაემგზავრა იასნაია პოლიანაში სადაც დაჰყო 1851 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში მან საკანდიდატო ეგზამენი დაიჭირა პეტერბურგის უნივერსიტეტში და შემდეგ კავკასიაში გამოემგზავრა თავის ძმასთან. ტოლსტოი იმდენად გაიტაცა კავკასიის მშვენიერმა და ხელუხლებელმა ბუნებამ და ხალხმა, რომ გადასწყვიტა შესვლა საარტილერიო ბრიგადაში, რომელიც თერგზე იყო დაბანაკებული, „სტაროგლადოვსკის“ სტანიცაში. კავკასიაში პირველად მომწიფდა და განვითარდა ტოლსტოის ნიჭი და შემოქმედება, რომელმაც ამ მწერალს მსოფლიო სახელი მოუპოვა. 1852 წ. „სოვრემენნიკში“ დაიბეჭდა პირველად მისი ნაწარმოები „ბავშვობა“ „თავ დასხმა“ „სიყრმე“ „მემამულის დილა“ და ბოლოს „ყაზახი“. ამ მოთხრობებით თავის ორიგინალობით უცებ საყოველთაო ყურადღება მიიქცია. აღმოსავლეთში ომის დაწყებისას ტოლსტოი გადავიდა დუნაის ჯარში, მონაწილეობა მიიღო 1854 წლის კომპანიაში და შემდეგ გადავიდა სევასტოპოლში, სადაც მონაწილეობა მიიღო ქალაქის დაცვაში. 1856 წელს ტოლსტოი სამთო დივიზიონის უფროსად იყო და მონაწილეობა მიიღო შავს მდინარესთან მომხდარ ბრძოლაში. აქ მან დასწერა სევასტოპოლის „ამბები“, რომელსაც იმ ხანად დიდი სახელი გაუვარდა იმის გამო, რომ მოთხრობა დაწერილი იყო რეალურად და ზედ მიწევნით მხატვრულადაც აღწერილი იყო ამ ომიანობის სურათები.

1856 წელს ტოლსტოიმ სამსახურს თავი მიანება და პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც დიდის აღტაცებით მიეგებნენ მაშინდელი ცნობილი ლიტერატორები: ნეკრასოვი, გრიგოროვიჩი, ტურგენევი, გონჩაროვი და სხვანი, და აგრეთვე მაშინდელი უმაღლესი წრეებიც. ტოლსტოის ამ ჟამად უკვე ჰქონდა დიდის მხატვარის სახელი გავარდნილი და ბევრს რამესაც მოელოდნენ მისგან, მით უფრო, რომ იმ ხანად რუსეთში დაიწყო ახალი ლიბერალური მიმდინარეობა. მოლოდინის წინააღმდეგ ტოლსტოი არ დაუახლოვდა მაშინდელს მოწინავე მწერლებს. მისი ბუნება უფრო სხვანაირი, თავისებური იყო და სრულიად არ ეთანხმებოდა მაშინდელს მსოფლმხედველობას.

1857—59 წლამდე ტოლსტოიმ იმოგზაურა გერმანიასა, საფრანგეთსა და იტალიაში იქაურ სკოლებისა და სწავლის მეთოდების შესასწავლად. ამასთანავე ათვალიერებდა ციხეებს საქველ-მოქმედო დაწესებულებათ, სხვა და სხვა კავშირს და ეცნობოდა შესანიშნავს კაცებს. ამ მოგზაურობას შედეგი ჯერ მოჰყვა მოთხრობის: „ლიუცერნ“-ის დაწერასა და შემდეგ პედაგოგიურ ჟურნალის „იასნაია პოლიანას“ გამოცემაც, რომელშიაც მეტად ცხადად და საოცრად სასტიკად აცხადებდა თავის ეჭვს თანამედროვე პროგრესის გამო, რომელსაც ცივილიზაციის სახით სარჩულად უდევს გულცივობა, ფარისევლობა და დაჩაგვრაო.

1861 წელს ტოლსტოი საბოლოოდ დასახლდა თავის მამულში, მომრიგებელ შუამავლად დადგა და დაარსა მეტად ორიგინალური სასწავლებელი, სადაც მოსწავლეთა აღზრდას საფუძვლად დაუდო კაცთმოყვარეობა და ძალდაუტანებლობა აქ ტოლსტოი ნელ-ნელა ჩამოშორდა საზოგადოებრივ ცხოვრების ხმაურობას და დააკვირდა სოფლის მდგომარეობასა და ხალხის ფსიხიკის ზედ მიწევნით შესწავლას. იგი მხნედ შეუდგა მხატვრულ მუშაობასა და დაიწყო უკვდავი ნაწარმოები „ომი და ზავი“, (დაასრულა 1869 წ.), რომელმაც გააკვირვა ქვეყნიერება, როგორც მხატვრულის ძლიერებით, ისე ინდივიდუალურობითა და ხალხის ფსიხიკის ღრმა ანალიზით. 1874 წელს ტოლსტოიმ დაბეჭდა თავისი ახალი რომანი „ანნა კარენინა“, რომელშიაც თანამედროვე საზოგადოებას ასწერს. ტოლსტოი არ დაკმაყოფილდა ამითი და დასწერა რამდენიმე ტრაქტატები: „აღსარება“, „როგორია ჩემი სარწმუნოება“, „რა უნდა გავაკეთოთ“, „რაშია ბედნიერება“ და სხვა. ამ წერილებით რუსეთსა და ევროპაში აღძრა საკითხი სარწმუნოებისა, მეცნიერებისა, ცივილიზაციისა, ქრისტიანობისა, ქორწინებისა, სიყვარულის თავისუფლებისა, შრომისა და სხვათა შესახებ. ტოლსტოიმ ჩქარა მიიქცია საყოველთაო ყურადღება უფრო იმით, რომ თავის იდეების გატაცების დროს იჩენდა სრულს გულწრფელობას, სიღრმესა და ძლიერებას, ხმარობდა თამამს პარადოქსებს, რომლითაც კადნიერად უარჰყოფდა საქვეყნოდ აღიარებულს ბევრს ჭეშმარიტებას.

ამ ხანში ტოლსტოიმ თავი მიანება ობიექტივურს მხატვრობას და ფილოსოფიურ და თეოლოგიურ თხზულებათა შესწავლას მიჰყო ხელი. შეისწავლა ბერძნული და ებრაული ენები, გაეცნო აღმოსავლეთის ბრძენთა ბუდასი და კონფუცის იდეებს და ყველგან ეძებდა თავის შეხედულებათა დამამტკიცებელ საბუთებს. მისი შემოქმედება ძალიან ნაკლებ უბრუნდებოდა მხატვრობას. დასწერა მან ამ ხანებში: „ივანე ილიას ძის სიკვდილი“, „მეუფება წყვდიადისა“, „კრეიცერის სონატა“, „განათლების ნაყოფი“.

როგორც რომანისტი-მხატვარი ტოლსტოი არის ერთი უმშვენიერესი მწერალი, რომელმაც პუშკინისაგან ნაანდერძევი ტრადიციები ღირსეულად დაიცვა და უკიდურეს საზღვრამდე მიიყვანა. როგორც განსაკუთრებით თავისებური და ფართო შემოქმედი ბუნება, ტოლსტოი წარმოადგენს დიდად საგულისხმო და წარუშლელს მოვლენას რუსეთის ლიტერატურაში. ტოლსტოი არის განხორციელება თანამედროვე კულტურულ ადამიანისა. „შეშფოთებულ სინიდისის“. ტოლსტოი საოცარის ნიჭით ფარდა სახდის თავის კულტურულ გმირთა სულის სიმახინჯეს, მათს მაღალს მისწრაფებას და საცოდავს თავ-მოტყუებას. ეს „შეშფოთებული სინიდისი“,— მუდამ ანალიზის მომხდენი, მუდამ მაძიებელი ჭეშმარიტებისა და მშვენიერებისა,—არის ის მომხიბლავი ძალა ტოლსტოის ნიჭისა, რომელიც მოსვენებას არ აძლევს მისს ფხიზელს სულს.

ტოლსტოიმ არ იკმარა მარტო სიტყვიერი ქადაგება და სიკვდილის წინად, როგორც მკითხველებმა იციან, დასტოვა თავისი საგვარეულო ბინა, რათა ეცხოვრა თანახმად თავის რწმენისა, მაგრამ დიადმა დამამშვიდებელმა ძალამ, სიკვდილმა, ბოლო მოუღო დიდებულის მოძღვრის გულის ტკივილს, მაღალს და წმინდა სულის კვეთებასა და სამარადისოდ დაამშვიდა...

X.

თავ. ი. ა. ბარათაშვილის თავმჯდომარეობით. კრებამ განიხილა და დაამტკიცა საზოგადოების სკოლის წარსულ სამოსწავლო წლის ანგარიში. დაამტკიცა აგრეთვე მომავალ სამოსწავლო წლის ხარჯთ-აღრიცხვა. შემოსავალი ნაანგარიშევია 5.380 მან., ხოლო ხარჯი—4.618 მან. კრებაზე აღძრულ იქმნა საკითხი სკოლის გადაკეთების შესახებ პროფესიულ სასწავლებლად, მაგრამ უარყოფილ იქმნა. დასასრულ არჩეულ იქმნა საზოგადოების გამგეობის წევრი ა. ი. პავლიაშვილი, პ. მამრაძე და მ. ს. დავითიანი.

**ტოლსტოის გარდაცვალების გამო.** ქუთაისიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „ტოლსტოის გარდაცვალების ამბავი საღამოს 9½ საათზე გავრცელდა ქართულს თეატრში, რომელიც სავსე იყო ხალხით. სამწუხარო ამბავი საზოგადოებას აუწყა დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრმა ბ-ნმა ვრინიცკიმ. ხალხზე ამ ამბავმა საზარელი შთაბეჭდილება იქონია. კიტა აბაშიძის წინადადებით, რუსეთის დიდებულ შვილის, კაცობრიობის სახელოვანი მასწავლებლის ღრმა პატივისცემის ნიშნად, ხალხმა სამარისებურ დუმილით დასტოვა თეატრი და წარმოდგენაც შეწყდა!

**ექიმ ტურაშვილის საქმე.** 6 ნოემბერს სიღნაღში საოლქო სასამართლოს სესიამ დაიწყო ექიმ ტურიაშვილის საქმის გარჩევა. როგორც მკითხველთ იციან, ტურიაშვილს ბრალდება ყრუ-მუნჯ მონაზონის—ბერიძიშვილის—გაუპატიურება. სასამართლოში ექსპერტები არ გამოცხადნენ, ამიტომ საქმის გარჩევა სხვა დროისთვის გადაიდო.

**ტფ. ქალაქის ხმოსანთა არჩევნები.** ტფილისის ხმოსანთა არჩევნებს 1911 წლის აპრილს შეუდგებიან. მომავალ წლის შუა რიცხვებში გამოქვეყნებულ იქნება ამომრჩეველთა სია. ამომრჩეველთა სიის შემმოწმებელ კომისიის წევრებად ასახელებენ შემდეგს ხმოსნებს: ი. ნ. ხუნუნცს, ტ. ა. ენფიანჯიანცს, ს. ფ. ქრელაშვილს, ი. ს. ჯაბადარს, პ. მ. დოლუხანოვს, კ. ი. ჯაფარიძეს, ა. ს. ბაბოვს, ლ. ფ. ტიგრანოვს, ა. რ. ფიცერს, მ. ნ. ვესელოვზოროვს და მ. ი. სვეშნიკოვს.

**გაბუჩის შეპყრობა** ამ დღეებში, ტფილისში დააპატიმრეს ფოსტალიონად ნამყოფი ალექსანდრე გაბუჩია, რომელსაც მონაწილეობის მიღება ბრალდება კასპის რკინის გზაზე საფოსტო მატარებელზე თავდასხმაში, როდესაც გატაცებულ იქმნა 400,000 მანეთი.

**გორის მაზრის უფროსად ნამყოფის საქმე.** კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ დაამტკიცა კავკასიის ნამესტნიკის საბჭოს რეზოლიუცია, რომლითაც მოსპობილ იქმნა საქმე გორის მაზრის უფროსად ნამყოფის, კაპიტან პ. ს. ლეონტიევისა. ლეონტიევს სამსახურის დროს ბოროტმოქმედებათა ჩადენა ბრალდებოდა.

**საფუთო გადასახადი.** ფოთიდან გვწერენ: ფოთის ქალაქის გამგეობის სასარგებლოდ ახალი საფუთო გადასახადი შემოვიდა ოქტომბერში 12,137 მ. და 75 კ. მოსალოდნელია, რომ ამ თვესა და შემდეგში ბევრად მეტი შემოვა, რადგანაც ოქტომბერში შავი ქვით დატვირთული მხოლოდ ერთი გემი გავიდა ნავსადგურიდან. ეხლა კი 5 გემი იტვირთება შავი ქვით და სხვებს კიდევ ელიან.

**შეწირულება.** საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს: ანასტასია მიხეილის ასულმა წერეთლისამ—გიორგი წერეთლის თაოსნობით შედგენილი საქართველოს დიდი რუკა და ყვირილის ხეობაში ნაპოვნი, ბრინჯაოდან ჩამოსხმული კაცის თავი, ფრიად ლამაზის ხელოვნებისა (რომაულ ჯურისა); ეგნატე გიორგის ძემ გაბლიანმა—ეტრატზე ხუცურად ნაწერი „ჟამის წირვა" გრაგნილად, და ლაზარე ალექსის ძის სონღულაშვილის ოჯახმა (სოფელ დილომიდან)—ორი რკინის მაშხალა.

**ქალაქის მოურავი ქუთაისში.** როგორც ქუთაისიდან გვატყობინებენ, გავლენიან ხმოსანთა ჯგუფს გადაუწყვეტია, ქუთაისის ქალაქის მოურავის თანამდებობაზე იაკობ ფანცხავას კანდიდატურა წამოაყენოს.

**პოლიციამ ტფილისში შეიპყრო:** 6 ნოემბერს 74 უპასპორტო, ხოლო 7 ნოემბერს—56.

## კიდევ დეპუტატ ჩხეიძის შესახებ

როგორც ვსწერდით, მთავრობა დეპუტატს ჩხეიძეს ბრალსა სდებს, ვითომც მას თავის ძმის უფლებებით და ცენზით ესარგებლოს დეპუტატად არჩევის დროს. ამ საგნის შესახებ „რუსსკოე სლოვო"-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ:

„დეპუტატი ე. პ. გეგეჭკორი, ჩხეიძის მეგობარი, ასე ჰხსნის ამ ისტორიას.

—ოდესღაც ნიკოლოზ ჩხეიძე—მოგვითხრობს გეგეჭკორი—ერთი თავგამოდებული მომხრე და გამავრცელებელი იყო კარლ მარქსის მოძღვრებისა კავკასიაში, ამის გამო მეგობრებმა მას დაარქვეს „კარლ", ამ სახელს ისე შეეჩვია ჩხეიძე, რომ თავის წერილებს ხშირად ქვეშ აწერდა „კარლ ჩხეიძე". ალბად, აქედან დაიბადა ადმინისტრაციის აზრი, რომ არსებობს ვიღაც კარლ ჩხეიძე, რომელიც ტყუილად უწოდებს თავის-თავს ნიკოლოზ ჩხეიძეს.

სათათბიროს ოპოზიცია არ მალავს თავის აღშფოთებას ამ საქმის გამო. ოქტომბრისტები ამბობენ, რომ გამოძიებით შეგროვილ მასალებში ნაჩვენები არის, ვითომც ჩხეიძის ძმის საბუთებით ესარგებლნოს, მაგრამ ამ ფაქტის დამამტკიცებელს საბუთებს ვერა ვხედავთო.

პ. ნ. მილიუკოვმა ბაასის დროს განაცხადა:

—ჩხეიძის საქმეს მე ვერა ვხედავ. ვხედავ მხოლოდ, რომ სოციალ-დემოკრატთა მეთაურს რაღაც ხრიკს უმზადებენ. ნამდვილ საბუთების მექმნა, რომლითაც შესაძლებელი იქმნება პასუხის-გებაში მიცემა ჩხეიძისა, შეუძლებელია.

დეპუტატი-იურისტები და ოპოზიცია აღნიშნავენ, რომ პ. ა. სტოლიპინმა გვერდი აუქცია იუსტიციის მინისტრს ი. გ. შჩეგლოვიტოვს. ასე მოიქცა, ალბად, იმიტომ, რომ იურიდიულის თვალთახედვით, არ იყო საბუთი დეპუტატის სათათბიროდან გაძევებისაო.

მემარჯვენენი გაიძახიან, რომ ასეა თუ ისე, ჩხეიძის გაძევება სათათბიროდან აუცილებელიაო.

—სად უნდა გაარჩიოს კაცმა, რაშია საქმე,—ამბობს ერთი მემარჯვენე დეპუტატი.—გამოვიდა რაღაც ისტორია და უსიამოვნო ისტორიაც. დეპუტატი კი ისტორიაში არ უნდა ერიოს.

ვ. ა. მაკლაკოვი,—თავმჯდომარე სათათბიროს პირველ განყოფილებისა, სადაც უნდა გაირჩეს ეს საქმე,—ამბობს, რომ ნ. ს. ჩხეიძის საქმის გამოწვევა საჭიროა საქმის ნამდვილ ვითარების გამოსარკვევადო და კიდეც მოვითხოვთ კავკასიიდან ამ საქმესაო".

„რუსსკოე სლოვო"-მ დაბეჭდა აგრეთვე თავის ტფილისელ კორესპონდენტის მიერ შეკრებილი ცნობები, რომლითაც მტკიცდება, რომ სიმართლეს მოკლებულია ბრალდება, ვითომ ჩხეიძე დეპუტატად მოტყუებით წასულიყოს: დეპუტატ ჩხეიძეს ჰყავს მხოლოდ ერთი ძმა—კალინიკეო.

## საუწყებათა შორისო თათბირი შავი-ქვის მრეწველობის შესახებ

(წერილი პეტერბურგიდან)

(გაგრძელება)

**26-27 ოქტომბრის სხდომა.**

კრება გაეცნო პირველ მუხლს საზოგადოდ, მან აირჩია კომისია, რომელსაც მიანდო დაწვრილებით განხილვა ამ მუხლისა. კრება გადაიდო პირველ ნოემბრისათვის, ხოლო კომისია განაგრძობს მუშაობას და თავის მოხსენებას წარუდგენს კრებას პირველ განახლებულ სხდომაზე. პირველ მუხლს სამი ნაწილი შეადგენს და სამივეში ისეა აზრი გამოთქმული, რომ ყველა ნაწილი თითქმის წინ და წინ გადაწყვეტილად მიაჩნიათ სიის შემდგენელთ. ეს მათთვის ისეც უნდა იყოს. მათ სურთ: 1) დააკისრონ მრეწველთა კრებათ და საბჭოს შრომა შავი-ქვის წარმოების საზოგადო პირობების გასაუმჯობესებლად, 2) უფრო გარკვეული და განსაზღვრული დანიშნულება მისცენ მრეწველთა კრების თანხმებს, რომ უკეთ განხორციელდეს ნამდვილი კონტროლი კავკასიის სამთამადნო სამმართველოსი და 3) გაძლიერებულ იქნას მრეწველთა კრებებზე დიდის ფირმებისა და ექსპორტის წარმომადგენლობა; აგრეთვე გადიდდეს ორ კაპეიკამდე საფუთო გადასახადი კრების სასარგებლოდ იმ პირობით, რომ უფლება ფაქტიურად მომატება-მოკლებისა ეძლეოდეს თვით მრეწველთა კრებას ნამესტნიკის ნებართვით, ყოველ კერძო შემთხვევებში, ვაჭრობამრეწველობის მინისტრთან შეთანხმებით. როგორც ჰხედავთ, ამ მუხლის ორი პირველი ნაწილი პირდაპირ გაზ. „კავკაზი"-დან არის ამოღებული და შედეგია სრულის უნდობლობისა მრეწველთა კრებისა და საბჭოსადმი. მესამე ნაწილში კი ვხედავთ კრებებზე „საიმედო" ელემენტების, ექსპორტიორების გაძლიერების სურვილს, რომელნიც „ალაგმავენ" კრების მრეწველთა ვითომდა უკანონო მოქმედებას. მათის აზრით, მთავრობის კონტროლის გაძლიერებაც ამიტომ არის საჭირო. დაამტკიცებენ კი, რომ მრეწველთა კრება და საბჭო არაფერს ხარჯავს წარმოების საზოგადო პირობების გასაუმჯობესებლად? არა მგონია. მაგრამ ამას შემდეგის სხდომებიდან დავინახავთ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ექსპორტერები დაჟინებით თხოულობდნენ კომისიის კრებაზე პირველ მუხლის მესამე ნაწილის განხორციელებას, ე. ი. ხმების გათანასწორებას მრეწველებთან შედარებით. ამ მოთხოვნილების სამართლიანობას ისინი ასაბუთებდნენ იმით, რომ ექსპორტიორები ვითომ ისეთსავე ღირებულებას ჰქმნიან მრეწველობაში, როგორსაც ყველა მრეწველები ერთად. მაგრამ, თუ ამაზე მისდგა საქმე, მაშინ კრებებზე უპირატესობა მუშებს უნდა ეკუთვნოდეს, რადგან მხოლოდ ისინი არიან ნამდვილ ღირებულების შემქნელნი, და არა ექსპორტერ-მრეწველებს.

ბ. ნ. ნიკოლაძემ მხარი დაუჭირა ექსპორტერების მოთხოვნას და ამასთანავე აუცილებელ საჭიროდ სცნო კონტროლის გაძლიერება. როცა სამინისტროს ერთი წარმომადგენელი (საეროზოს ყოფილი მოღვაწე) შეეკითხა მას, რაიმელ კონტროლზე ბრძანებთო, ბ. ნიკოლაძემ უპასუხა, რასაკვირველია, მთავრობისაზეო. ამაზე შემკითხველმა ხელის ჩაქნევით უპასუხა: **Ну, знакомы мнѣ эти контроли**-ო! ნამესტნიკის წარმომადგენლის პეტერსონის სიტყვით მთავრობის რევიზიას არავითარი ბოროტ-მოქმედება არ აღმოუჩენია საბჭოსა და მრეწველთა კრების მოღვაწეობაში. ეს აზრი დღემდის, ვგონებ, არავის სცოდნია, რადგან, როგორც სჩანს, ზოგიერთი წევრი კრებისა წინააღმდეგს მოელოდა. თუ აქამდე კრების თავმჯდომარე ბ. კონოვალოვი, (რომელიც კომისიის თავმჯდომარეც არის) მაინც და მაინც ნდობით არ უყურებდა მრეწველთა საბჭოს, ეხლა, ეტყობა, აზრი საკმაოდ შეიცვალა, რაიც ექსპორტერებისადმი მიმართულ სიტყვებში გამოიხატა, ნურას უკაცრავად, თუ ამის შემდეგ ყველა თქვენს სურვილებს მხარი ვერ დაუჭიროვო.

კომისია თავის მუშაობას განაგრძობს.

**1 ნოემბრის სხდომა.**

რადგან არჩეულ კომისიას პირველ მუხლის შესახებ თავისი შრომა არ დაუსრულებია, მოხსენების წარდგენა საზოგადო კრების წინაშე გადაიდო შემდეგის სხდომისათვის. კომისიაში დიდი კამათი გამოიწვია იმ საკითხმა, თუ ვის და როგორ მიეცეს ხმის უფლება მრეწველთა კრებებზე. ექსპორტერები თხოულობდნენ სამ კურიად გაეყოთ მრეწველთა კრების წევრები. პირველში უნდა შედიოდნენ მემამულენი, მეორეში—მრეწველები და მესამეში—ექსპორტერები. მრეწველი და ექსპორტერი იხდის (არსებულის წესით) ¾ კაპ. თითოეულ ფუთზე კრების სასარგებლოდ, და ხმის უფლება ექნება კრებაზე იმას, ვინც დაიმუშავებს არა ნაკლებ 100,000 შავ-ქვას. ამდენივე უნდა გადიხადოს იმ მემამულემ, თუ კი ის მოისურვებს კრებაზე ხმით სარგებლობას, რომელსაც მამულში აღმოუჩნდება 100, ფუთი შავი-ქვა, თუ გინდ ეს ქვა დაუმუშავებლად და უძრავად ეგდოს.

ბ. ზდანოვიჩი ამტკიცებს: არავითარის მოსაზრებით არ მართლდება ასეთ კურიების შემოღება. თუ თვითეული მრეწველი და ექსპორტერი იხდის ყოველ ათას ფუთზე ¾ კაპეიკის ანგარიშით 750 მანეთს, ეს არაფერია, რადგან მათ წარმოება სარგებლობას აძლევს, მაგრამ ის მემამულე კი, რომელსაც დაუმუშავებელი და უძრავი მადანი აქვს, არას დროს არ დასთანხმდება გადაიხადოს ამოდენა ფული ერთის ხმის გულისათვისო.

ცხადია, საითკენაც არის მიმართული ექსპორტერების ასეთი სურვილი. ჭიათურაში, ამ უკანასკნელ დროს მაინც, ექსპორტერები მარტო ექსპორტით არ კმაყოფილდებიან. ისინი ამასთანავე მწარმოებელნიც არიან და მემამულენიც. ამ უკანასკნელ ხუთის წლის განმავლობაში მათ დიდძალი მამულები შეიძინეს და დღეს კი მეტის ენერგიით განაგრძობენ ამ საქმეს. ასე რომ, ჯერ-ჯერობით, მათ ჰსურთ ისარგებლონ კრებებზე ხმის უფლებით როგორც ექსპორტერებმა, მრეწველებმა და მემამულეებმა და ბოლოს კი, როცა მთელ წარმოებას ხელში ჩაიგდებენ, სრული ბატონ-პატრონიც გახდნენ.

ექსპორტერების წინადადებას კენჭი უყარეს, მაგრამ იგი 6 ხმით წინააღმდეგ **სამისა** უარჰყვეს. თვითონ ექსპორტერებს ხმა არ მიუციათ. ამის შემდეგ მათ მეორენაირი წინადადება შეიტანეს: მიეცეს მემამულეს გადასახადის გადაუხდელად ხმის უფლება, თუ მას მამულში ასი ათასი ფუთი ქვა აღმოუჩნდება. ეს წინადადებაც უარჰყვეს ექვსის ხმით წინააღმდეგ ხუთისა.

ამავე დღეს საზოგადო კრება შეუდგა ტარიფის საკითხის განხილვას. სატარიფო კომიტეტის წარმომადგენელმა მოითხოვა, რომ ამ საკითხის გარჩევას ნიკოპოლის მრეწველების წარმომადგენლებიც დაესწრნენ, რადგან ეს საკითხი მათ ინტერესებსაც ეხებაო. მათ ნება დართეს. ესენი ამტკიცებდნენ, რომ სამხრეთ რუსეთის მარგანეცის წარმოება ძლიერ გაფართოვდა და დიდი ადგილიც დაიჭირა მსოფლიო ბაზარზეო. ამიტომ ჭიათურის შტოზე ტარიფის დაკლება სრულებით დასცემს ჩვენს წარმოებასაო, და რომ ეს ასე არ მოხდეს, საჭიროა ტარიფის დაკლება კი არა, პირიქით, ძველ ნორმამდე, 7 კ., აყვანაო. თავმჯდომარემ დასვა საკითხი: შეუძლიან კი ნიკოპოლის მრეწველობას მსოფლიო ბაზარზედ ჭიათურის მრეწველობის მაგივრობა გასწიოსო. რასაკვირველია ამაზე ნიკოპოლის წარმომადგენლებმაც არა-თი უპასუხეს. ამ უკანასკნელებმა წინადადება შეიტანეს: თუ ეს საკითხი ჩვენდა სასურველად არ გათავდება, მაშინ შემოღებულ იქნას ადრე არსებული ტარიფი ჭიათურის იმ მარგანეცზე, რომელიც რუსეთში იგზავნებაო. ამით მათ ჰსურთ რუსეთის ბაზარი მაინც საკუთრად დაინარჩუნონ და მეტოქე ჩამოიცილონ. ბ. ზდანოვიჩის წინადადებით ეს საკითხი გადაიდო საზოგადო ტარიფის გამორკვევამდის.

რკინის გზის წარმომადგენელი ამტკიცებს, რომ რკინის გზას ერთის ფუთის მარგანეცის გადაზიდვა შორაპნამდის უჯდება 2,63 კაპეიკი. და თუ ამას პროცენტებს, საამშენებლო თანხას და სხვას მიუმატებთო, მაშინ სამ კაპეიკზე მეტიც ჯდებაო. ამ ცნობების შესამოწმებლად აირჩიეს განსაკუთრებული კომისია.

**გ. ჭუმბურიძე.**

## მოწერილი ამბები

**ფოთი.** 31 ოქტომბერს საკრებულოს დარბაზში წ. კ. გ. ს. ადგილობრივ გამგეობის თაოსნობით ექიმმა გასილ წერეთელმა წაიკითხა ქართულად ლექცია „ჰიგიენაზე".

ლექტორი ამ პირველ ლექციაში შეეხო ჰიგიენას საზოგადო თვალთახედვის ისრით და გაგვითვალისწინა, თუ რა პირობებში უნდა იცხოვროს ადამიანმა, რომ სრულიად დაცულ იქმნას ჯანმრთელობა. ლექტორმა განმარტა, თუ რა საშუალებებით შეიძლება აიცდინოს ადამიანმა სხვა და სხვა გადამდები სენი, მასთან მაგარ სასმელების მავნებლობაზე. აგრეთვე შეეხო სხეულის ვარჯიშობას და საჭმელის ჰიგიენურად ხმარებას. სხვათა შორის ლექტორი შეეხო ჩვენებურ გლეხის თანამედროვე ცხოვრებას და ძლიერ გულ-ნატკენად აღიარა, რომ ჩვენი გლეხები უსუფთაონი არიან, მათ არ იციან, თუ როგორ უნდა იცხოვრონ, რომ ჯანმრთელობა იქონიონ დაცული. გლეხი იმდენად დაუდევარი და უვიცია, რომ, თუ კი ამოავსო თავისი სტომაქი მჭადით და ლობიოთი, მეტს არას დაეძებს და რომ მან იცოდეს, თუ რა ზიანი მოაქვს მის ჯან-მრთელობისათვის მარტო მჭადსა და ლობიოს,—ის უეჭველად გამონახავდა სხვა რამ საშუალებას, რითაც შეძლება ექმნება და ხანდისხან ხორცისა და სხვა რამ ასეთის ხმარებისათ. მართალია დღეს გლეხობა შედარებით ნაკლებად გათვითცნობიერებულია, მაგრამ რაც შეეხება პატივცემულ ლექტორს ასეთ შეხედულებას, ჩვენ არ გვგონია სრულიად მართალი იყოს. დღეს ნაკლებად მოიპოვება ისეთი გლეხი, სხვას რომ თავი დაანებოთ,—ეს მაინც არ იცოდეს, რომ ხორცის ჭამა სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის და თუ გლეხები ამას მოკლებულნი არიან, ამის მიზეზები უფრო მათ ეკონომიურ სფეროში უნდა ვეძიოთ, ვინემ უვიცობაში. თუმცა ლექტორი შეეხო საგანს ჰიგიენურის მხრით და არა ეკონომიურისა, მაგრამ როგორც ვსთქვით, მატერიალურ სიღარიბეს რომ მეტი მნიშვნელობა აქვს გლეხთა ცუდ ყოფაში—ჩვენ არ ვფიქრობთ სხვაზე იყოს. საზოგადოდ ლექცია იყო მოკლე, შინაარსიანი და მარტივი, მასთან მდაბიო, ადვილად გასაგები, ნამდვილ ხალხურ ენაზე წარმოთქმული და საზოგადოებამაც სიამოვნებით მოისმინა.

ხალხი საკმაოდ დაესწრო. ლექცია იყო გამართული არა მოგებისათვის, არამედ ხალხის სულიერ და გონებრივ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და ამისთვის ფასი ლექციაზე დასწრებისა იყო იაფი, 5 კ.—60 კაპეიკამდე, რომლის შემოსავალი გაანებ ხარჯს არც კი დაჰფარავს.

საზოგადოებამ ლექტორი ტაშის ცემით დააჯილდოვა.

სასურველია, ასე ფრიად მნიშვნელოვან საგანზე, როგორიც არის ჰიგიენა, და სხვა საგნებზედაც ხშირად იკითხებოდეს ლექციები, იმედია, წ. კ. გ. ს. გამგეობა არ დასტოვებს ამას უყურადღებოდ...

31 ოქტომბერს წ. კ. გ. ა. გ. გამგეობას თვითმართველობის დარბაზში ჰყავდათ მოწვეული საზოგადოების უფასო სკოლაში სწავლის მოსურნენი. გამგეობამ დაადგინა—გახსნას სკოლა და შეუდგეს მეცადინეობას. საგნების განაწილება კი ამ დღეს ვეღარ მოხდა, ვინაიდან მსურველთა ნაკლები რიცხვი გამოცხადდა...

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

**ხუცური ანბანი.** წამება ცხრათა ყრმათა კოლაელთა და ქართველი ქრონიკონი. გამოცემული დ. კარიჭაშვილის მიერ ფასი ერთი შაური.

ეს წიგნი ხუცურ ანბანის შესასწავლად არის გამოცემული და ამიტომ მას პატარა სახელმძღვანელოს სახელი შეგვიძლიან ვუწოდოთ. ხუცურის შესწავლას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ჩვენს სასწავლებლებში. სახაზინო გიმნაზიებზე არაფერს ვიტყვით, მაგრამ ქართულ გიმნაზიებში, სადაც ქართული ენის სწავლება ჯეროვან ნიადაგზეა დაყენებული, ხუცურ ანბანსაც მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. დიდი ნაწილი ჩვენის ისტორიულ დოკუმენტებისა, ხუცურის ასოებითაა დაბეჭდილი, არქეოლოგიურ ნაშთებზედაც წარწერებს უმეტეს შემთხვევაში ხუცურის ასოებითა ნახავთ. ამიტომ ყველა, ვინც კი უმაღლეს სასწავლებელში სამშობლო ისტორიის შესწავლას მოისურვებს, იძულებული გახდება, უპირველეს ყოვლისა, ხუცური ისწავლოს. თუ საშუალო სასწავლებელი ამ ცოდნას მისცემს, თქმა არ უნდა, ძალიან გაუადვილდება მუშაობა.

ბ-ნ კარიჭაშვილის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო იწყება ასომთავრულ ანბანით და რამდენიმე მარტივი გაკვეთილიცა აქვს მოყვანილი ამ ასოების შესათვისებლად. ასო-მთავრულს ნუსხური ანბანი მისდევს ისევ რამდენისამე გაკვეთილით.

საკითხავ მასალად თავის წიგნში ბ-ნ კარიჭაშვილს მოუთავსებია საყურადღებო ისტორიული დოკუმენტი „წამება ცხრათა ძმათა კოლაელთა". ეს დოკუმენტი პირველად დაბეჭდა პროფესორმა მარრმა. *) ეს ხელთ-ნაწერი მეათე საუკუნეს ეკუთვნის. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ თვით ნაშთი უფრო ძველი დროისა უნდა იყოს. მარრს ეს ისტორიული დოკუმენტი გამოუცია იმ ხელთ-ნაწერიდან, რომელიც მას, თავისსავე სიტყვით, 1897 წელს ათონში უპოვნია. არსებობს კიდევ მეორე ვარიანტი ამ დოკუმენტისა, პ. იოსელიანის მიერ გადმოწერილი მხედრულის ასოებით იმავე ათონის ხელთ-ნაწერიდან, ამ ჟამად ინახება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბიბლიოთეკაში. აი, ამ ხელთ-ნაწერიდან გადმოუბეჭდია ბ-ნ კარიჭაშვილს ეს ნაშთი. განსხვავება ამ ორ გამოცემათა შორის მხოლოდ ის არის, რომ ახალს გამოცემაში დაცულია მე-XVIII-ე საუკუნის მართლ-წერა, პროფესსორ მარრისაში კი—მეათე საუკუნისა.

ამ ნაშთში მოთხრობილია ამბავი ცხრა ძმათა წამებისა. ერთს დიდ მდინარის, მტკვრის, სათავეში, ამ ნაშთის გადმოცემით, ყოფილა სოფელი კოლა. ამ სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობა კერპთ-თაყვანისმცემელი ყოფილა, უმცირესობა კი—ქრისტიანე. ქრისტიანეთა და კერპთ-თაყვანისმცემელთა შვილები ხშირად თავს იყრიდნენ ხოლმე და თამაშობდნენ, „ჟამსა მწუხრისასა" კი ქრისტიანეთა ბავშვები „წარვიდიან ეკკლესიად ლოცვად, ვითარცა არს წესი ქრისტიანეთა". ცხრა ძმანი კერპთ-თაყვანისმცემელნი ქრისტიანეთა ბავშვებს გაჰყვნენ, რადგანაც ძალიან დამეგობრებულები იყვნენ, მაგრამ მღვდელმა ისინი ეკკლესიაში არ შეუშვა. კერპთ-თაყვანისმცემელთა ბავშვებს რამდენჯერმე უცდიათ შესვლა ეკკლესიაში, მაგრამ მაინც ვერას გამხდარან. ბოლოს ქრისტიანებს უთქვამთ: „უკეთუ გნებავს შემოსვლად ჩვენ თანა ეკკლესიად, გრწმენიან უფალი ჩვენი იესო ქრისტე". ყმაწვილებს მაშინვე ქრისტიანობა მიუღიათ. ცხრა ძმანი კოლაელნი მონათლნენ და ქრისტიანებთან დარჩნენ. ეს რომ მშობლებმა გაიგეს, მათი დაბრუნება მოისურვეს, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაუარათ. გამხეცებულმა ბრბომ ყმაწვილები ჩააქვავა. „ასპიტთა და მხეცთა იციან წყალობა შვილთა; ხოლო ამათ უსჯულოთა არა ყვეს წყალობა შვილთა მათთათვის".

ეს ნაშთი, გარდა იმისი, რომ ძალიან მსუბუქი ქართულის ენითაა დაწერილი და საკითხავადაც საამოვნოა, ძალიან კარგს საბუთს წარმოადგენს ქრისტიანობის გავრცელებისას საქართველოში. ტრადიციით, ქრისტეანობა მირიანმა მეფემ შემოიტანა საქართველოში და მოჰფინა მთელს ქვეყანას. ისეთივე ტრადიციები არსებობს სხვა ქვეყნებშიაც. თითქმის ყველგან თქმულება ქრისტიანობის გავრცელებას ერთს რომელიმე ისტორიულ პირს აწერს. ეს ნაშთი საუკეთესოდ გვიმტკიცებს, თუ არ მდგომარეობაში იმყოფებოდა ქრის-

*) Текстъ и разысканія по Армяно-Грузинской филологіи, V.

ტიანობა პირველ საუკუნოებში, როდესაც იგი ახლად ვრცელდებოდა. აწერილია ის დრო, როდესაც ერთის სოფელში ქრისტიანებიცა სცხოვრობენ და კერპთ-თაყვანის მცემლებიც; აწერილია ის მომენტი, როდესაც დედა შვილს აღარ ინდობდა და შვილი დედას. რომ კერპთ-თაყვანის მცემელთ და ქრისტეანთა შორის დიდი ბრძოლა ყოფილა, და ქრისტიანობა ერთბაშად არ დამყარებულა, ამას მშვენიერად გვიმტკიცებს „წამება“.

წიგნს ბოლოში დართული აქვს ქართული ქორონიკონის გამოანგარიშების წესი. ესეც საჭირო იყო, რადგანაც იშვიათად თუ იცის ხოლმე ქართველობა ქორონიკონის გამოანგარიშება.

ბ-ნ კარიჭაშვილის მიერ გამოცემული წიგნი ჩვენ ძალიან სასარგებლოდ მიგვაჩნია, და იმედია დიდს სარგებლობასაც გაუწევს იმას, ვინც ხუცურის ანბანის სწავლებას შემოიღებს ჩვენს სასწავლებლებში.

**არ. ჯ—შვილი.**

# უცხოეთი

**განახლებული პორტუგალია.**

**რეაქციონერთა იმედი—პორტუგალიის** რესპუბლიკას დიდი დღე არ აქვს და დღეს ან ხვალ კვლავ ძველი რეჟიმი გამეფდება პორტუგალიაში, ცუდ უბრალო ოცნებად დარჩა. ყველაზე დიდად თავზარი დასცა რეაქციონერებს იმ გარემოებამ, რომ დიდმა სახელმწიფოებმა ხმა-მაღლა აღიარეს პორტუგალიის რესპუბლიკა და ოფიციალური დამოკიდებულებაც განაახლეს. კლერიკალებმა ხომ აღარ იციან რა ჰქნან. ბევრის ფიქრისა და თათბირის შემდეგ ამ უგვანებმა თავი მოიყარეს ლისაბონში და ადგილობრივის პატრიარქის მეთაურობით თავის ბედს იკლოვენ. ბჭობენ, ისინი იმის თაობაზე, რომ ახალმა რესპუბლიკამ სრულიად გასწყვიტა კავშირი ვატიკანთან. ასეთი მოქცევა მათ არა ნორმალურად მიაჩნია და სანუგეშებლად თათბირზე ის-ღა წარმოთქვა, რომ პაპი ენციკლიკის გამოცემას აპირებს ახალ კანონის წინაამდეგ, რომლითაც ცოლქმართ ნება ეძლევათ განქორწინდნენ სამოქალაქო წესით. ასე თუ ისე კლერიკალების ბედი საკმაოდ რყევაშია და რას უმზადებს მათ ხვალინდელი დღე,—ამას ალბად ჩქარა შევიტყობთ.

უფრო ნაკლებ სახარბიელოა ბედი პორტუგალიის ყოფილ მინისტრებისა, რომელნიც მოკლე ხანში სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგენ სხვა და სხვა სახელმწიფო დანაშაულისთვის. ყოფილ დიქტატორის ფრანკოსი და მინისტრების გვქილებმა საბრალდებლო კამერაში უჩივლეს სასამართლოს გამომძიებელს, რომელმაც ბრალდებულნი დააპატიმრა. გვქილების აზრით, გამომძიებელს დაპატიმრების უფლება არა ჰქონდა მეფე მანუელის მიერ გამოცემულ ამნისტიის ძალითა. საბრალმდებლო კამერამ კანმარტა, რომ ბრალდებულნი, ამინისტიის ძალით, შეიძლება არ იქმნენ დასჯილნი, მაგრამ მათი საქმე სასამართლოში მაინც უნდა გაირჩეს, რადგან იქ გამოირკვევა ძველის რეჟიმის ბევრი სხვა ბოროტ-მოქმედება, რასაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვსო. იუსტიციის ახლანდელმა მინისტრმა კოსტამ კი განაცხადა, განზრახულ ამნისტიის ძალით, შეიძლება, ფრანკოს სასჯელი მოუმსუბუქდეს, ხოლო ეს ამნისტია მას ვერ იხსნის ქონებით პასუხის მგებლობისგან იმ ზარალის გამო, რომელიც მან ხაზინას მიაყენაო.

**ყუმბარების სროლა აეროპლანიდან.**

შეერთებულ შტატების სამხედრო სამინისტროს დავალებით, ორი ავიატორი ლატამი და დრეკსელი გალტიმორაში აეროპლანებით აფრინდა და თან ყუმბარები წაიღო. ლატამმა ფრენის დროს ექვსი ყუმბარა ესროლა მიზანად გემს „დელავერს“ სადღესასწაულოდ და ექვსივე მოარტყა. ფრენის დროს ლატამმა ხმელეთზე რვეოლგერი შვიდჯერ ესროლა ერთ ადგილს გაჩერებულს ნიშანს და ორჯერ მოარტყა.

**ესპანიის მონარქია განსაცდელშია.**

ესპანიაში უკანასკნელ ხანებში მომხდარი ამბები ნათლად ამტკიცებს, რომ ხალხი ძალიან ამხედრებულია მონარქიის წინაამდეგ. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა უფრო სასტიკ ზომებს ხმარობს ხალხის დასამშვიდებლად, საყოველთაო უკმაყოფილება ესპანიაში დღითი-დღე იზრდება. 1 ნოემბერს კორტესების კრებაზე ცხარედ შეჯამათდნენ პრემიერი კანალეხასი და სოციალისტების მეთაური პაბლო იგლეზიასი. პრემიერმა განაცხადა, რომ მთავრობა სცდილობს ყველა მემარცხენე ელემენტები გააერთიანოს კლერიკალიზმთან საბრძოლველადო. ამაზე იგლეზიასმა უპასუხა: —ჩვენ არ გენდობით თქვენა. თქვენმა ვეილერმა კატალონიაში ტერორი გაამეფა. როცა გაფიცვები დაიწყო, მან დაიბარა მუშათა დელეგატები და ასე უთხრა: „მე ციხეებს როდი გავავსებ მუშათა ხორცებით. მე თქვენ დაგამშვიდებთ ტყვიითა და ზარბაზნებითაო“. ამ სიტყვების წარმომთქმელი ჩქარა დაიჭერს თქვენ ადგილს, ბ-ნო პრემიერო!

— რევოლუციონერნი—უპასუხა პრემიერმა—უმართებულოდ ექცევიან მთავრობას, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა პროლეტარიატისთვის. მთავრობას აზრად აქვს პროლეტარიატის სიმპატია მოიპოვოს ისეთ ზომების მიღებით, რომ ლიც მუშათა მდგომარეობას გააუმჯობესებს. აი, ამნაირი ბრძოლა მაქვს გადაწყვეტილი თქვენთან!

— ტყუილად იწუხებთ თავს,—გააწყვეტინა სიტყვა იგლეზიასმა—რესპუბლიკელნი და ჩვენ უფრო ადრე დავამხობთ მონარქიას.

ამ სიტყვებმა დიდი სენსაცია გამოიწვია.

პროვინციაში ხალხის რყევა და დაპატიმრება კვლავ გრძელდება. ბევრს ადგილს ახლად იფეთქა მღელვარებამ.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** კვირას, 7 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა ვ. ყიფიანის 5 მოქმედებიანი ისტორიული დრამა: „სამეგრელოს მთავარი ლევან“. პიესა მრავალის მხრით არის საყურადღებო. ჯერ-ერთი, იგი მშვენიერის ქართულის ენითაა დაწერილი, მეორეც, იგი ჭეშმარიტად ისტორიული პიესაა, რადგანაც ფაბულა ისტორიულ სინამდვილეს შეეფერება. ინტრიგები ყოველს სამეფო სახლში არსებობს ხოლმე; მაგრამ წვრილ-წვრილ სამთავროებში საგვარეულო სახლის წევრთა ქიშპობა და მტრობა ჩვეულებრივ მოვლენად იყო გადაქცეული. ჩვეულებრივად მრავალ-რიცხოვანი ოჯახობა მეფისა, ნათესაობა და აყარებული მახლობელნი მშვენიერს მასალას წარმოადგენდნენ შფოთისა და ქიშპობისათვის. ერთი ამნაირი ამბავი დატრიალდა სამეგრელოს მთავრის, ლევანის, ოჯახშიაც. ლევანი გამარჯვებული ბრუნდება ომიდან და მადლიერი ხალხიც კმაყოფილებითა და სიხარულით ეგებება. არავითარი უსიამოვნება არა სჩანს ლევანის ოჯახში—დრამის დასაწყისი ამნაირია: ლევანს ჰყავს მოხუცი ბიძა, გიორგი, გამოჩენილი მეომარი და განთქმული თავის ქველობითა და რაინდობით. დარეჯანი, გიორგის ახალგაზდა მეუღლე, მეფის ცოლობას განიზრახავს, და აქედან ყველაფერი იცვლება. მთელი სასახლე დარეჯანის მიერ გაბმულ ქსელში ებმევა; მას ყველგან უბედურება და გახრწნილება შეაქვს. ბევრი იმსხვერპლა მისმა მოქმედებამ, მაგრამ საწადელს მაინც ვერ მიაღწია: ყველა დაბრკოლება თავიდან ვერ მოიშორა და დედოფალი ვერ გახდა. ბოლოს, იმედ დაკარგული დარეჯანი, მონასტერში შესვლას გადაჰსწყვეტავს; ლევანი, რომელსაც გაგიჟებით შეუყვარდა დარეჯანი და რომელსაც თავის სიყვარულს ძვირფასი ბიძის სიცოცხლეც კი შესწირა ზვარად, ემუდარება დარეჯანს, თავის განზრახვაზე უარი განაცხადოს, მაგრამ დარეჯანის გარდაწყვეტილების შეურყეველი აღმოჩნდა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ლევანი დაახრჩობს დარეჯანს.

სასტიკი, მაგრამ პატიოსანი და რაინდული ხასიათის ლევანი დარეჯანის მოქმედებამ სისხლის-მსმელსა და ბოროტებათ აღსავსე არსებად გადააქცია; ლევანი ულმობლად ექცეოდა ყველას, ვინც კი მოღალატედ ეჩვენებოდა, არ ინდობდა არც მახლობელს, არც დიდსა და არც პატარას. დასასრულ ლევანმა მაინც ბოლო მოუღო წყაროს ყველა უბედურებისას, მაგრამ, თქმა არ უნდა, ამით ბედნიერებას ვეღარ დაიბრუნებდა. იგი სრულიად მარტო დარჩა.

პიესა კარგს შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე, თუმცა ბევრ ნაკლოვანებაცა აქვს. განსაკუთრებით თვალში ეჩხირება ადამიანს ის გარემოება, რომ მომქმედნი პირნი ერთავად შემოდიან და გადიან სცენაზე მარტო იმიტომ, რომ სხვებს დაუთმონ ადგილი როლის სათქმელად. ავტორს რომ სასცენო ტეხნიკა უფრო კარგად ჰქონოდა შესწავლილი, ამ ნაკლს აუცილებლად თავიდან აიცილებდა. გასაოცარია ისიც, რომ შეთქმულები ისე დადიან მთავარის სასახლეში, როგორც თავის საკუთარს სახლში. რამდენჯერმე ფანჯრიდანაც კი შემოიპარნენ, მაგრამ მაინც ვერავინ იგებს მათს შემოსვლას, მიუხედავად იმისა, რომ მომქმედნი პირნი წარა-მარა შერბიან და გამორბიან. მიუხედავად ყველა ამ წვრილმან ნაკლოვანებებისა, პიესა მაინც საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენს დრამატიულ ლიტერატურაში.

უმთავრეს მომქმედ პირს ასრულებდა ბ-ნი ვ. მესხიშვილი, რომელმაც ლევანის როლი ძალიან დაკვირვებით ითამაშა. ინტრიგებში გახლართულ ლევანის სულიერი მოძრაობა მესხიშვილმა კარგად მოახერხა. ლევანი ბუნებით სისხლის-მღვრელი ადამიანი არ იყო. იგი ჭკვიანი და გამჭრიახი, თანაც რაინდული ხასიათისა იყო. ლევანს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული საქართველოს საერთო ინტერესები და გული სტკიოდა, როდესაც ყველგან შურსა და მტრობასა ჰხედავდა და აი, ასეთი ადამიანი სასახლეში გამეფებულმა ინტრიგებმა პირუტყვად გადააქციეს. ამ გარდაქმნის ისტორიის გადმოცემა ძალიან ძნელია, მაგრამ ბ-ნმა მესხიშვილმა მაინც სძლია ეს სიძნელე.

მეორე უმთავრეს როლს ასრულებდა ქ-ნი ნ. დავითაშვილი, მაგრამ მის თამაშობის შესახებ იძულებულნი ვართ სრულიად ხმა არ ამოვიღოთ; ქ-ნი დავითაშვილი სცენაზე არ თამაშობდა, იგი მხოლოდ როლს კითხულობდა. პირველს მოქმედებაში როლი აერია, მერე კი, მოტყუილებული არ დავრჩები, თუ ვიტყვი, რომ იგი სცენაზე ტიროდა. ქ-ნ დავითაშვილს ძალიან ეტყობოდა აღელვება და ამისთანა პირობებში კი თამაშობა შეუძლებელი იყო.

სხვა მოთამაშენი ანსამბლს ხელს უწყობდნენ; მხოლოდ ზოგიერთებს კვლავ როლის უცოდინარობა ეტყობოდათ.

ხალხი საკმაოდ დაესწრო. **Homo.**

# განცხადებანი


**ექიმი** ე. ხ. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ვენ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—221

**ექიმი** ნიკო ერისთავი ბათომში

სამხედრო სამკურნალოს ორდინატორი ღებულობს და არჩენს შინაგან, ბავშვებისა და ნერვებით ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე 1—3 საათამდის ფილტვებით, კუჭით, ნაწლევებით (ბავშვების ფაღარათით) და ქარებით (რევმატიზმით) ავადმყოფებს; ციებ-ცხელების დიაგნოზი ახალის მეთოდით, სისხლის და ნახველის მიკროსკოპიული გამოკვლევა.

ბათომი ვლადიკავკავის ქ. N 24. (20—171—12)

**დოქტ. ნავასარდიანისა**

ყოველ დღე, კვირეებს გარდა დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ე. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**საღამოთი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარცინევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

**გამოცდილი მასწავლებელი**

განაგრძობს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლებისთვის: გიმნაზიისთვის, რეალურ, კომერციულ, ტეხნიკურ, სამოქალაქო, საფერშლო, რკინის გზის და სასულიერო სასწავლებლებისთვის, ამზადებს ყველა ხარისხის ჩინზე. ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. მსურველს მიიღებს მთელ ხარჯზედაც—პანსიონში, რომელნიც არ იქნებიან აცილებულნი 15 წ. სწავლაში მონაწილეობას მიიღებს სხვა მასწავლებლებიც)

მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათ. საღ. 5—8 საათამდე. მეცადინეობა იქნება ორ ალაგას: ვორონცოვის ძეგლის მახლობლად და ნახალოვკაში, ავჭალის ქუჩაზე, ვაგზლის პირდაპირ.

ადრესი: Авчальская ул. с. д. N 133, кв. 4. (въ Нахаловкѣ противъ вокзала). (თ—152—15)

◀ **მშობიარეთათვის** ▶

**თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.**

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მოსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრადა მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—4დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—712)

**საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი**

**„ნაკადული“**

(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელისმომწერლებს:

**24** წიგნი მცირე წლოვანთათ. **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად 1. მარლეის აჩრდილი,—ჩარლზ დიკენსის მოთხრობა. მოთხრობაში იქნება ჩართული სურათები. 2. ქართული მხატვრული ალბომი კუბიკებზე.

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთ ქარვასლაში).

◀ **სამეურნეო ჟურნალი**

**მოსავალი**

წელიწადი მეორე

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უფასოდ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали“.

**გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში**




გამოცემა **მიხეილ ნემსაძისა** ფასი 10 კაპეიკი, **ადრესი:** ტფილისი, ქართველთა ამხანაგობის სტამბა. ტელეფ. № 372.

ვ. ყიფიანის დრამა

**სამეგრელოს მთავარ ლევან**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „სახ. გაზ.“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

**თევზის მაღაზია**

**ს. ა. გუკასოვისა**

პუშკინის ქუჩა, სახლი სუნდუკიანცისა, მართლმადიდებელთა მღვდლის სემინარიის პირდაპირ

ტელეფონი № 395  ტელეფონი № 395

განუწყვეტლივ, ყოველ დღე მოგვდის ახალ-ახალი ზუთხი და თართი, ხიზილალა პარკისა, ქვირითისა და კოლოფებით. საუკეთესო დოში და ზურგიელი და აგრეთვე ყოველგვარი თევზეული. ფასები სინიდისიერია. პატივისცემით ს. ა. გუკასოვი. (40—33—20)




**მოითხოვეთ**

**სწორე და მკვიდრი საათები!**

**ნუ გამოეკიდებით იაფ-ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ.**

ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უხმო საათები სამი სახურავით «ჩ ე ც ს ი ა», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14% ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ხმა აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უგასაღებოდ. საათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედალით და სიკარგის ნიშნით“. ფასი 5 მ. 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს ამ საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა გადასახადით 40 კ. (ციმბირში 75 კ.).

| ПАРИЖЪ PARIS 7 | S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis. |
|---|---|

უფასოთ ვგზავნით ახალ ოქროს მშვენიერ ძეწკვს ბრელოკით და ზამში ბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრათ 10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე.

(Мецль N 53647). (34—15—2)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფოთში 34 წლის არსებობისა

**სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძევველოვების მაღაზია**

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

**ახალ-ახალი**

**ოსეტრინა** (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა).

**ხიზილალა**

ახალი, (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

**საუკეთესო დოშები და ზურგიელები**

**მიღებულია დვინის ორაგული** (სიომგა)

და წითელი ხიზილალა (Кетовая). (წ.—128—26)

ერთად-ერთი საწყობი ფოთში 34 წლის არსებობისა.

სალიანის თევზეული (Кетовая) ხიზილალა

**სასტუმრო ნომრები ტფილისში**

ქალაქის შუა ადგილი, ელისაბედის ქუჩა, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, სახლი ძმ **მ ი ლ ო ვ ი ს ა** № 1. ოთახები ნათელი და მშრალი, თბილი კარიდორებით. მოსამსახურეთ ქალები და კაცები; განათებული ელექტრონით. ნომრები ორ-ორი ოთახებიდანაც არის.

**ფ ა ს ი: 60 კაპეიკიდან 2 მანეთამდე; თვიურებს დაეთმობათ.**

პატრონი ნომრებისა ს. მოძველიძე.

(30—181—5)

**ტანისამოსის მკერავი**

**ი. ნ. სვანიძე**

ტფილისი, ფოსტის ქ., სახლი ზუბალაშვილისა, № 6.

ამით აუწყებს თავის პატივცემულ შემკვეთებლებს, რომ სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მოხელეთა ფორმის ტანისამოსისათვის რუსეთისა და საზღვარ-გარეთის განსაკუთრებით სახელ-განთქმულ ფაბრიკებისაგან შევიძინე დიდძალი მაუდეულობა. ყველა ტანისამოსს ჰკერენ გამოცდილი ხელოსნები

◀ **ჩემის ხელმძღვანელობით** ▶

ყველა დაკვეთილი ტანისამოსი იკერება სუფთად და კეთილსინდისიერად. (20—127—10)

**ხილეულობის, ხელოვნური მინერალური და სამკურნალო წყლები**

**მ. ლაღიძისა და ამხ.**

**მზადდება მხოლოდ ბუნებრივ, ქიმიურად დაწმენდილ, ხილის წვნითა და საუკეთესო ხილეულის შარბათით გამოხდილის წყლითა და წმინდა შაქრით.**

წყალი მზადდება გაუმჯობესებულ მანქანებით სპეციალისტის მუდმივის ხელმძღვანელობით.

◀ **წყლების კარგი ღირსებისათვის ქარხანა დაჯილდოვებულია ოქროსა და ვერცხლის მენდლით.** ▶

**ქარხნები:** ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე ტელეფ. № 411. ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე. (20—139—9)


რედაქტორ-გამომცემელი იროდიონ სოლოლაშვილი.